

ՅԱԿԱՆՏՈՒՍ № 47171

თანამდებობის დასახელება	მესამე რანგი - საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
პოზიციის დასახელება	მერის წარმომადგენელი ობუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში
კონკურსის ტიპი	ღია კონკურსი
ორგანიზაცია	ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია
კატეგორია	ადგილობრივი თვითმმართველობა
განცხადების ბოლო ვადა	28.01.2018
თანამდებობრივი სარგო	1000 ლარი
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	ნალენჯიხა
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი
გამოსაცდელი ვადა	12 თვე

ფუნქციები

- მერს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და აგრეთვე მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;
- მერის დავალებით უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას;
- უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას;
- მერის დავალებით ორგანიზებას უწევს დასახლებაში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას;
- დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ადასტურებს მის სამოქმედო ტერიტორიაზე საქონლის ადგილწარმოშობის, აგრეთვე პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს;
- მერს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელებებისა და ნუმერაციის შესახებ;
- სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით ახორციელებს დაბადების რეგისტრაციის თაობაზე (თუ ბავშვი დაიბადა სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემის უფლებამოსილების მქონე პირის დახმარების გარეშე) შეტყობინების მიწოდებას, გარდაცვალების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის შედგენასა და გაცემას, პირის გარდაცვალების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში გაგზავნას;
- მერის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	უმაღლესი განათლება
სამუშაო გამოცდილება	2 წელი

საკონკურსო თემატიკა

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია;
- საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ (I, II, III და IV თავები);
- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 10 იანვრის №46 დადგენილება;
- „ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრების ფარგლებ საქონლის ადგილწარმოშობისა და პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის შედგენის, ცნობის გაცემის წესისა და ცნობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 აგვისტოს №27 დადგენილება;

ი), „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბერის 39 დადგენილება.

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	კარგი
Microsoft Office Excel	კარგი

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	წალენჯიხა სალიას ქ.# 5
საკონტაქტო ტელეფონები	599857105
საკონტაქტო პირი	ნანა კვარაცხელია

დამატებითი მოთხოვნები

- საზოგადოებასთან ურთიერთობის ან/და საქმის წარმოების სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;
- გუნდური მუშაობა;
- პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრის უნარი;
- კომუნიკაბელურობა;
- ეთიკურობა.

დამატებითი ინფორმაცია

- კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა განაცხადი უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.
- კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:
 - უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო უცხო ენაზე გაცემული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში, ასევე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი;
 - სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი, სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტის - შრომის წიგნაკის (არსებობის შემთხვევაში) ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა (და არა თანამდებობაზე დანიშვნის/გათავისუფლების ბრძანებები), დამოწმებული ბეჭდითა და ხელმოწერით, რომელშიც ასახული იქნება სამსახურის დაწყებისა და დასრულების სრული თარიღები და დაკავებული თანამდებობა.
- კანდიდატი უნდა შეავსოს სამოტივაციო წერილის ველი.
- კანდიდატი რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან არასრულყოფილად იქნება წარმოდგენილი (ელექტრონული სისტემის მეშვეობით ასატვირთი დოკუმენტაცია) მითითებული დოკუმენტაცია, ვერ გააგრძელებს კონკურსის შემდეგ ეტაპზე (გასაუბრება) მონაწილეობას.
- გასაუბრების ჩატარების ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ ინფორმაცია კანდიდატს ეცნობება მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული კანდიდატი გასაუბრებაზე არ დაიშვება.

გადანწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

საკონკურსო კომისია საბოლოო გადანწყვეტილებას იღებს კენჭისყრის საფუძველზე კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
გასაუბრება